# ესხ3ე

ისკოვში ქართული დეკიის მოგზაურობას. მან ივე თქვა, რომ გაეროს თ კავკასიის საკითხებზე შედგა. სამნუხაროდ **4** ქვეყ<sup>ნის</sup> იყო <sup>კ</sup>მადგენელი — ტაჯიკესაქართველოს, კუბის და იის. ამის პასუხს საგარეო ეთა სამინისტროსაგან ვეითქვა ისიც, რომ პრესა რთველოს შესახებ დასავის ქვეყნებში არ არის კმაყოფილებელი. მოსკონ კი, ჩვენი ნარმომადეობიდან უამრავი ინფორმოდის პარლამენტის ლზე იქ გამართული საერესო პოლიტიკური შეხრების შესახებ. ამის თაზე კი პარლამენტმა არაიი იცის. დეპუტატმა ნამოპა ნინადადება, რომ დროა მნას საპარლამენტო კომირომელიც რუსეთის პარენტთან დაინყებს მუშაობას. ხეადასხეაში აგრარული საიხებიც მნეავედ დაისვა. ხლოეს ხანში იქნებ დეჭებიც შედგეს ამის თაობაზე. უითქმის განახევრებულმა რბაზმა მოისმინა დეპუტატ პინოშვილის გამოსელა, როლიც 21 თებერვლის შეხღრას ეხებოდა. არჩევნები [პარლამენტი იმიტომ შედგა, ჩიდან პოლიტიკოსები პარამენტში შემოეყვანათ. ახლა ევ ქუჩაში ინევენ. ეს შეედრა, იქნებ, არც იყოს დენად სერიოზული, რამდედაც სერიოზული შედეგები ეიძლება გამოინვიოს..

ხარიშვილმა ირინა ესთავაზა პარლამენტს, კიდევ რთხელ გადაედგა ხელიუფლებას ნაბიჯი და შაბათს ოენვია პარლამენტში ის ხაუხი, ვინც ფილარმონიაში შე-

ვედრაზე მიღის.

ამ საკითხს დეპუტატები, ლბათ, დახურულ სხდომაზე, **რომელიც საქართველოს პარ**ლამენტის მუშაობის საორგანიბაციო საკითხებს ეხებოდა გადანყვეტღნენ.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

წარმოდგენილი პროექტი ხანგრძლივი დაფიქსებისა და მუშაობის შედეგია. მუშაობის პროცესში შეძლებისდაგეარად გათვალისწინებული იყო როგორც საკუთარი ისტორიული გამოცდილება (მათ შორის — 1918-21 წ. წ. პირველი რესპუბლიკისა). ასევე რიგი მოწინავე დემოკრატიული ქვეყნებისა (გერმანია, იტალია, ესპანეთი, ავსტრია) და რუსეთისა. გაანალი ხებულია ამ საკითხის გარშემო არსებული საკანონმდებლო აქტების ერთობლიობა, აგრეთვე ქართველ და აფხაზ საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ პრესაში თუ კერძო საუბრებსა და ოფიციალურ შეხვედრებზე გამოთქმული

ცხადია, ყველა თვალსაზრისის შეჭერება ვერ მოხერხდა, რადგანაც ეს პრინციპულად შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგისთვის მთლიანად კანონპროექტი, ხოლო ზოგისთვის — მისი ცალკეული დებულებები, ალბათ შიუღებელი იქნება, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბოლოსდაბოლოს საჭიროა ფართო ლისკუსიის გამართვა ამ საჭირბოროტო პრობლემის გარშემო, ვინაიდან დისკუსიის გამართვა ამ საჭირბოროტო პრობლემის გარშემო, ვინაიდან დღემდე არ არსებობს ქართული მხარის ჩამოყალიბებული პოზიცია ერთიან

სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის თაობაზე.

რესპუბლიკური პარტია მადლიერების გრძნობით მიიღებს ნებისმიერ შენიშვნასა თუ რეკომენდაციას, რომელიც კი იქნება წინამდებარე კანონ-პროექტის სულისკეეთებით გამსქვალული და შეძლებისდაგვარად, გაითვალის-წინებს მათ დოკუმენტისათვის საბოლოო სახის მიცემისას და მხოლოდ ამის შემდეგ შევა საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს პარლამენტში.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ**ᲝᲡ Ს**ᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲨᲔᲛᲐᲦᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ **ᲡᲐᲮᲔᲚ**ᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ **ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ**Ბ

პრმამ**ბულა** 

ქართველი და აფხაზი ერები წარმოადგენენ პოლიტიკურად და სამართლებრივად ერთიანი სახელმწიფოს მკვიდრ ერებს ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, ქართველთა და აფხაზთა სახელმწიფოს ეწოდება საქართველო. ქართველი და აფხაზი ერები ახორციელებენ თავიანთ სუვერენიტეტს საქართველოს სახელმწიფოს მთელ **ტერიტორიაზე**.

აფხაზეთი როგორც აფხაზთა კომპაქტური დასახლების ადგილი, სარგებლობს სახელმწიფოებრივი თვითმოწყობის უფლებით საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში მისი მიზანია ათხაზთათვის, როგორც ქართველებთან შედარებით უფრო მცირერიცხოვანი ერისათვის, თვითმუოფადობის შენარჩუნების დამატებითი გარანტიების უზრუნველყოფა, აგრეთვე თვითგამორკვევის ჩამოყალიბებული ფორმის განმტკიცება და განვითარება ეს უფლება ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე — საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული და პოლიტიკური მთლიანობის გარანტირებული შენარჩუნების, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა და აფხაზთა სრული პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის, ადამიანთა და მინორიტეტული ჩგუფების უფლებების განუხრელი დაცვის *ა*ბირობებში.

სახელმწიფო მმართველობა, როგორც მთლიანად საქართველოს სახელმწიფოში, ისე აფხაზეთშიც, ეფუძნება დემოკრატოს პრინციპებს

საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის ხელისუფლებათა ურთიერთმიმართების ზოგად საფუძვლებსა და კომპეტენციათა ფარგლებს განსაზღვრავს ეს კანონი.

# **000301 ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ**

1. აფხაზეთი არის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი.

2. საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი თვითმოწყობის ფორმა არის დე-

მოკრატიული საპარლამენტო რესპუბ-

35EME34MD348N

 აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებას, გარდა იმ საკითხებისა, რომელნიც ამ კანონის ძალით მიკუთვნებულია საქართველოს სახელმწიფოს განსაკუთრებულკომპეტენციას, ან საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის ხელისუფლებათა ერთობლივ კომპეტენციას, ახორციელებენ აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები

4. აფხაზეთი მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფოს განსაკუთრებულ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწუვეტაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობა უპირატესობით სარგებლობს აფხა ხეთის კანონმდებლობასთან შედარებით, კანონით დადგენილ ფარგლებში

6. საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის ხელისუფლებათა საკანონმდებლო აქტების შესაბამისობას ამ კანონთან, საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციასთან, აფხაზეთის კონსტიტუციასთან, განიხილავს საქართველოს უზენაესი სახამართლო (შემდგომში საკონსტიტუციო სასამართლო), რომლის გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოსათვის საქართველოს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე.

7. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის ხელისუფლება არ ასრულებს ამ კანონით, საქართველოს სახელმწიფოსა ან აფხაზეთის კონსტიტუციებით, ან შესაბამისი კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლებას უფლება აქვს, გაატაროს შესაბამისი ზომები, რათა აიძულოს აფხაზეთის ხელისფლება, აღასრულოს თავისი მოვალეობა

8. საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის ხელისუფლების ორგანოები

დასასრული მე-8 გვ.

უკანასკნელ ხანს რუსეთის მახობრივი ინფორმაციის ზოგიერთ საშუალებებში დაჟინებით ავრცელებენ ხმებს იმის თაობაზე, თითქოსდა, მზაღღებოღეს საქარი/ველოს ეროვნული გვარდიის შეჭრა აჭარაში. და მართალია, ეს ხმები პირწმინდად უარყვეს რესპუბლიკის ოფიციალურმა ხელისუფლებმა, მათ შორის თავღაცვის სამინისტრომაც, მათ მაინც გამოიწვიეს უამრავი მითქმა-მოთქმა ღა გამოჩნდა კიდეც განკარგულება აჭარაში მყოფი რუსეთის ჯარების ნაწილების მისაღგომების ღანაღმვის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპოდენტი თამაზ გენძეხაქე შეხედა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯღომარეს ასლან აბაშიძეს და ჩამოართვა მას ინტერვიუ.

– ბატონო ახლან, რით არის გამოწვეული ამ განკარგულების გაცემა?

 შარშან, დეკემბრის დამლევს, სხვადასხვა საინფორმაციო არხით მივილეთ ცნობები იმის თაობაზე, რომ 10 თებერვალს ღამით მოხდებოდა თავდასხმა 145-ე დივიზიაზე. ჩვენ გვქონდა დრო, ხელახლა შეგვემოწმებინა ეს ცნობები უკვე სხვა არხებით. მათგან მიღებული ინფორმაცია იყო ერთგვაროვანი ეს აქცია დაგეგმილია. ჩვენი ანალიზიდან გამომდინარე, ეს მიზნად ისახავდა იმას, რომ ჩამოეშორებინათ მოსახლეობის ყურადღება აფხაზეთში შექმნილი რთული, საქართველოს სხვა რეგიონებში, მათ შორის თბილისში, შექმნილი არანაკლებ რთული ვითარების, აგრეთვე საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკების ჩაშლისაგან.

ჩვენ გვესმის, თუ რას ნიშნავს განცხადება 145-ე დივიზიაზე თავდასხმის შესახებ. მიმაჩნია, რომ ჩაფიქრებული იყო დიდმას შტაბიანი პროვოკაცია, რომელიც კონფლიქტში სხვა ძალებსაც ჩაითრევდა. ყოველივე ეს კატასტროფულ შედეგებს მოუტანდა საქართველოს მთლიანობას და ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ არ დაგვეშვა ეს ავანტიურა.

უნდა ითქვას ისიც, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თითქმის ორი წლის მანძილზე ვრცელდება აბსოლუტური დეზინ-

# \$23 3 6 13 33 3 3 2 2 2 4 3 5 0 . G A A

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲨᲔᲛᲐᲦᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პირველი გვერდიდან

უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მიანდონ ერთმანეთს საკუთარი უფლებამოსილებების ნაწილის განხორციელება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებს, საქართველოს კანონმდებლობას.

## **00030 II**

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑ-ᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜ-ᲢᲘᲐ

 აფხაზეთს გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც შესაბამისობაში არის საქართველოს კონსტიტუციასთან.

10. აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია: უმაღლესი საბჭო (პარლამენტი), მთავრობა, სასამართლო.

 აფხაზეთს აქვს საკუთარი დროშა და გერბი, რომელთა გამოყენების წესს განსაზღვრავს კანონი.

12. აუხაზეთის ოფიციალური (სახელშწიფო) ენებია ქართული და აფხაზური,
რომლებიც თანაბარი უფლებებით სარგებლობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე.
საქართველოს სახელმწიფოსა და
აფხაზეთის კონსტიტუციები, კანონები
და კანონქვემდებარე აქტები ქვეყნდება
ქართულ და აფხაზურ ენებზე, ამასთანავე,
ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა გააჩნია.

საქართველოს პარლამენტში, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დასაშვებია აფხაზურ ენაზე გამოსვლა.

18. აუხაზეთის ტერიტორია შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფოსა და აუხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ კვალიფიციური უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას ამის თაობაზე რეფერენდუმის წესით მხარს დაუქერს აფხაზეთის ამომრჩეველთა უმრავლესობა.

14. საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს არა აქვთ უფლება გამოსცენ საკანონმდებლო აქტები იმ საკოთხებზე, რომლებიც მიკუთვნებულია აფხაზეთის ხელისუფლების კომპეტენციას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

16. აფხაზეთის ხელისუფლების ადგილობრივი და უმაღლესი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ამ კანონის მიღების მომენტისათვის, ან შემდგომში, არანაკლებ ოცი წლისა, მუდმივად ცხოვრობს აფხაზეთში.

# **00730 III**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘ-ᲤᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲒᲐᲦᲚᲔ-ᲡᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔ-ᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲒᲐᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ

საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:

16. საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ხელშეკრულებები საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორგანიზაციების წევრობა ამასთანავე, ისეთი ხელშეკრულების დადებისას რომელიც უშუალოდ ეხება აფხაზეთის ინტერესებს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების აზრი 17. ომისა და ზავის საკითხები სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება გარი და სმხედრო წარმოება. იარალის, ტუვია-წამლის, სამხედრო ტექნიკის გაუიდვა და შეძენა.

18. საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი მოქალაქეობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, მინორიტეტული გაუფების უფლებების, ემფრაციისა და იმიგრაციის, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის მოქალაქეთა დროებით ან მუდმივად ყოფნის საკანონმდებლო რეგულირება.

19. საქართველოს სახელმწოფოს ტერიტორიის სავაჭრო და საბაჟო ერთიანობა საფინანსო სავალუტო, საკრედიტო პოლიტიკა ეროვნული ბანკი ფულის ემისია, სახელმწიფო ბიუქეტი საერთო-სახელმწიფო გადასახადები და ანაკრეფები.

20. ერთიანი ენერგეტიკული სისტემა კავშირგაბმულობა სავაჭრო ფლოტი საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტი

21. სახელმწიფო საზღვრის სტატუსი, რეგიში და მისი დაცვა. ტერიტორიული წულების, სახაერო სივრცისა და კონტინენტური შელფის სტატუსი და მათი დაცვა.

22. მეტეოროლოგიური სამსახური. სტანდარტები და ეტალონები გეოდეზია და კარტოგრაფია. ზუსტი დროის დადგენა. სტატისტიკა საერთოსახელმწიფო-ებრივი მიზნებისათვის.

23. საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მრეწველობა.

24. სასამართლო, პროკურატურა, კრიმინალური პოლიკია, წინასწარი გამოძიება, ნოტარიატი. სისხლისა და სამოქალაქო სამართალი, სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ამნისტია და შეწყალება.

25. ადმინისტრაციული, შრომისა და მიწის სამართლის საფუძვლები;

# 00730 ia

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘ-ᲤᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ-ᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ

საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის ხელისუფლებათა ერთობლივ კომპეტენციას განეკუთვნება:

26. აფხაზეთის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველ-

27. საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და ავტოტრანსპორტი.

28. ადგილობრივი მმართველობის ზოგადი პრინციპები.

29. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა.

30. კანონმდებლობა სოციალური უზრუნველუოფის შესახებ.31. განათლების, მეცნიერების,

და სპორტის საერთო

# 00300 v

ჯანდაცვისა

საკითხები.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ

ადამიანის უფლებებისა და
 თავისუფლების დაცვა მინორიტეტული

ჩგუფების უფლებების დაცვა.

გ.გ.მართლწესრიგისა და კანონიერების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის განხორციელება.

 ადგილობრივი ბიუქეტი, ადგილობრივი გადასახადები და ანაკრეფები.

35. ბუნებათსარგებლობა გარემოს დაცვა, ეკოლოგიური უსაფრთხოება. კატასტროფებისა და სტიქოური უბედურებების შედეგების აღმოფხვრა, ეპიდემიებთან ბრძოლა.

36. ადმინისტრაციული, შრომისა და მიწის სამართალი.

37. სოფლის მეურნეობა

არქიტექტურა და მშენებლობა.

39. კულტურა

40. არასერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მრეწველობა.

41. ტურიზმი.

42. ადგილობრივი მნიშვნელობის სავტომობილო გზები და ავტოტრანსპორტი.

# MS30 VI

ᲙᲝᲰᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲘᲯᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ

48. აფხაზეთის ხელისუფლებას აქვს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო უფლება იმდენად, რამდენადაც ისინი ამ კანონით არ არიან მიკუთვნებულნი საჭართველოს სახელმწიფოს ხელისუფლების კომპეტენციას.

44. საქართველოს სახელმწიფოსა და აუნაზეთის ხელისუფლებათა ერთობლივი კომპეტენციის საკითხებში აფხაზეთს გააჩნია კანონშდებლობის უფლება მაშინ, როცა საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების მიერ ეს უფლება გამოყენებული არ არის და შესრულებულია ამ კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა

45. საქართველრ: \_\_\_\_\_\_\_ იფოსა და აფხაზეთის ხელისუფლებათა ერთობლივ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში საქართველოს სახელმწიფოს გააჩნია კანონმდებლობის უფლება მა შინ, როცა საკითხის გადაწყვეტა აფხაზეთის კანონმდებლობით შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს საერთოსახელმწიფოებრივ ინტერესებთან ან მის ეკონომიკურსა ან სამართლებრივ ერთიანობასთან.

46. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის
ხელისუფლებათა ერთობლივ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლების
უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებულ
აქტთან წინააღმდეგობაში მოდის აფხანოს მიერ ადრე მიღებული აქტი, ეს
უკანასკნელი ვალდებულია კანო. ებ
უკანასკნელი ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ ვადა ში შესაბამისობაში
მოიყვანოს თავისი კანონმდებლობა საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობასთან.

47. საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის ხელისუფლებათა ერთობლივი კომპეტენციის საკითხებში საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს აქვთ მხოლოდ საკანონმდებლო უფლება

48. საგანგებო მდგომატეობა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე შეიძლება შემოღებულ იქნას აფხაზეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან წინასწარი თანხმობლს საფუძველზე ან საქართველოს სახელმწიფოს 
ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების 
მიერ აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისათვის წინასწარი შეტუობინებით.

# 00230 VII

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ, ᲨᲔᲩᲔᲠᲔ-ᲑᲘᲡ, ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲡᲨᲘ ᲪᲕᲚᲘ-ᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔ-ᲢᲐᲜᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ

49. ეს კანონი ძალაში შედის საქართველოს პარლამენტის მიერ კვალიფიციური უმრავლესობით მიღების შემდეგ.

50. ამ კანონის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელი მხოლოდ რეფერენდუმის გზით. წინადადებას კანონის გაუქმების, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე მხარი უნდა დაუკიროს რეფერენდუმში მონაწილეთა უმრავლესობამ. რეფერენდუმის ჩატარების წესს განსაზღვრავენ საქართველოს სახელ-მწიფოსა და აუხაზეთის შესაბამისი განონები დაუშვებელია რეფერენდუმზე ერთდროულად ერთ წინადადებაზგ მეტის გამოტანა.

51. რეფერენდუმი ამ კანონის გაუქმების, მასში ცვლილებების ან დამატებების შეტანის თაობაზე ქერ უნდა ჩატარდეს აფხაზეთში ხოლო რეფერენდუმზე გატანილ წინადადებაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში — საქართველოს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. თუკი რეფერენდუმზე გატანილი წინადადება ორივე შემთხვევაში მხარდაჭერას ჰპოვებს, სქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები ვალდებულნი არიან, სამი თვის ვადაში შესაბამისაობაში მოიყვანონ საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის კანონმდებლობანი მიღებულ ცვლილებასთან ან დამატებასთან.

52. ამ კანონის გაუქმების თაობაზე რეფერენდუმის ჩატარება ნიშნავს რეფერენდუმზე საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონის ახალი პროექტის გამოტანას, რისთვისაც აუცილებელია საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ კანონის ახალი პროექტის მხარდაქერა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

58. საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ ახალი კანონის მიღება ხდება ამ კანონის 49-52 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურით.

54. ამ კანონის შეჩერება არა უმეტეს \$ თვის ვადით შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ კვალიფიციური უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობით.

პროექტი შემუშავეპულია საქართველოს რესპუბლიკური პარტიის მიერ

1992 წ. დეკემბერი — 1993 წ. იანეარი.